პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 70 (3554) 10 1968 წ. აპრილი, ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბოლოს...

თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე შედგა მორიგი მატჩი საკავშირო პირველობაზე ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ლოკომოტივის“ სათადარიგო შემადგენლობანი. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 1:0. გოლის ავტორია რამიშვილი.

* * *

ქუთაისში ითამაშეს ადგილობრივი „ტორპედოსა“ და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის“ დუბლიორებმა. გამარჯვება იქაც მასპინძლებს ხვდათ წილად — 3:2. სტუმართა კარში სამივე ბურთი გაიტანა გადელიამ.



სოხუმში დამთავრდა ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა პირველი მეოთხედფინალური მატჩის წინადლით გადადებული IV პარტია საბჭოთა დიდოსტატებს გელერსა და სპასკის შორის. მეტოქეებმა 7-7 სვლა გააკეთეს, რის შემდეგ გელერმა დანებების ნიშნად საათი გააჩერა და სპასკის მორიგი გამარჯვება მიულოცა. ამრიგად, ანგარიში გახდა 3:1 სპასკის სასარგებლოდ. V პარტია გაიმართება 11 აპრილს. თეთრებით ითამაშებს გელერი.

## პრიზის მისამართი: საქართველო

დუშანბე, 9 აპრილი. საქართველოს ჩოგბურთელები ტაჯიკეთის მინისტრთა საბჭოს პრიზის მფლობელები გახდნენ. მათ ეს საპატიო ჯილდო რესპუბლიკის ღია გუნდური პირველობის ფინალში ლატვიის ნაკრების დამარცხებით (4:2) მოიპოვეს. გამარჯვებულებს გადამწყვეტი ქულა მოუტანა ქალთა წყვილმა — მგალობლიშვილმა და ფარსადანოვამ.

III ადგილი წილად ხვდა მოსკოვის ნაკრებს, რომელმაც ნახევარფინალური შეხვედრა ლატვიის გუნდთან წააგო — 2:4.

ახლა ფრუნზეს სახელობის რესპუბლიკური სტადიონის კორტებზე პირადი ასპარეზობა დაიწყო. ამ ტურნირში პირველობისთვის იბრძვიან, აგრეთვე, უკრაინის, ბელორუსიის, ლიტვის, თურქმენეთის, უზბეკეთისა და ყაზახეთის ჩოგბურთელები.

## [illegible]

## ერთი ბურთით...

მოსკოვი, 9 აპრილი (ტელეფონით). მოსკოვისა და თბილისის დინამოელთა შეხვედრა უაღრესად დაძაბული გამოდგა. მასპინძლებმა დიდი გაჭირვებით მიაღწიეს გამარჯვებას — 6:5. შესამჩნევი უპირატესობა მათ მხოლოდ პირველ პერიოდში ჰქონდათ, რომელშიც 2 ბურთით დაწინაურდნენ — 3:1. მეორე პერიოდში ვერც ერთმა გუნდმა ვერ გაიტანა გოლი. მესამე პერიოდი ქართველმა წყალბურთელებმა მოიგეს — 3:2, ხოლო მეოთხე პერიოდში გუნდებმა თითო გოლი გაიტანეს.

დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი — „ბალტიკა“ (ლენინგრადი) 5:1, „დინამო“ (კიევი) — კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილია (ბაქო) 7:5, „დინამო“ (ლვოვი) — „სპარტაკი“ (ვოლგოგრადი) 4:2, მოსკოვის უნივერსიტეტი — „ტორპედო“ (მოსკოვი) 3:2.

### სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 9 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (მოსკოვი) | 14 | 11 | 3 | 0 | 62—33 | 25 |
| ცენტრ. საწყლ. სპორტკლუბი | 14 | 11 | 1 | 2 | 51—23 | 23 |
| მოსკოვის უნივერსიტეტი | 15 | 8 | 4 | 3 | 61—43 | 20 |
| „ბალტიკა“ (ლენინგრადი) | 15 | 6 | 5 | 4 | 41—46 | 17 |
| „დინამო“ (თბილისი) | 15 | 3 | 9 | 3 | 51—50 | 15 |
| „დინამო“ (კიევი) | 15 | 5 | 4 | 6 | 36—42 | 14 |
| „დინამო“ (ლვოვი) | 15 | 5 | 3 | 7 | 51—58 | 13 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 15 | 4 | 4 | 7 | 31—37 | 12 |
| კწფ (ბაქო) | 15 | 1 | 6 | 8 | 49—82 | 8 |
| „სპარტაკი“ (ვოლგოგრადი) | 15 | 0 | 1 | 14 | 30—70 | 1 |



თბილისში ამას წინათ დამთავრდა საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი მხატვრულ ტანვარჯიშში. რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა სპორტის ოსტატი ნ. სალაძე, რომელსაც ამ სურათზე ხედავთ.

(შეჯიბრების ანგარიში იხ. მე-2 გვ.).

## წყვილებშიც

ბარნაულში ფიგურულ ციგურაობაში საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებისას პირველთანრიგოსანი წყვილების სრიალში გაიმარჯვეს ესტონელებმა ტ. და ი. გროსებმა — 67,3 ქულა. კარგად გამოვიდნენ თბილისის ფიგურული ციგურაობის სკოლის აღსაზრდელები გ. ხაჩატუროვა და ა. შამყულაშვილი, რომლებმაც 61,4 ქულით III ადგილი დაისაკუთრეს.

სპორტულ ცეკვებშიც ესტონელებმა ისახელეს თავი: ტ. კონტასმა და ხ. შეინმა 208,2 ქულა მოაგროვეს. თბილისელები მ. ჯაიანი და თ. ლომაძე 178,4 ქულით II ადგილზე არიან.

### სპორტული საათი!

◆ ბარნაული, 9 აპრილი. სსრ კავშირის თასი წყვილთა ციგურაობაში მოიპოვა მოსკოველთა დუეტმა — ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორებმა ი. როდნინამ და ა. ულანოვმა. უნდა აღინიშნოს, რომ აქ არ გამოსულან ლ. ბელოუსოვა — ო. პროტოპოპოვი და თ. მოსკვინა — ა. მიშინი. ყინულზე ცეკვებშიც საკავშირო ჩემპიონატის ბრინჯაოს მფლობელებმა იმარჯვეს: ტ. ვოიტიუკმა და ვ. ჟიგალინმა (მოსკოვი). შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღიათ ი. გრიშკოვა — ვ. რიჟკინსა და ლ. პახომოვა — ა. გორშკოვს.

## ახალი ამბები

● მოსკოვი, 8 აპრილი. შვეციაში გაემგზავრა საბჭოთა ტანმოვარჯიშეების ჯგუფი, რომელშიც შედიან: მ. ვორონინი, ს. დიომიდოვი, ვ. ლისიცკი, ვ. კლიმენკო და სხვ. შვეციაში ტურნეს შემდეგ საბჭოთა ტანმოვარჯიშეები დანიას ეწვევიან.

● მინსკი, 8 აპრილი. კარგ ტრადიციად იქცა ბელორუსიის თასის გათამაშება ფარიკაობაში. პირველ დღეს ასპარეზობდნენ ქალები. წარმატება ხვდა წილად მინსკელ რაპირისტ ტ. სამუსენკოს, რომელმაც I ადგილი დაიკავა. II ადგილზეც მისი თანაქალაქელი ე. ნოვიკოვაა.

● მონტე-კარლო, 9 აპრილი. მოჭადრაკეთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის VI ტურში მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ვ. სმისლოვმა დაამარცხა ფრანგი ჟ.-კ. ლეტელტერი და 4 ქულით შეჯიბრების ერთპიროვნული ლიდერი გახდა. ამ დღეს მსოფლიოს მეორე ექს-ჩემპიონმა მ. ბოტვინიკმაც გაიმარჯვა: მან პ. ბენკოს (აშშ) დააყრევინა ფარსმალი. საბჭოთა ვეტერანს, ისევე, როგორც რუმინელ ფ. გეორგიუსა და უნგრელ ლ. პორტიშს, 3,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს (დანიელ ბ. ლარსენთან).

### ჩემპიონები

ალმა-ათა, 9 აპრილი. გუშინ აქ დამთავრდა კლასიკური სტილის მოჭიდავეთა საკავშირო ჩემპიონატი უმსუბუქესი, ქვემსუბუქე, ქვენახევარმძიმე და ქვემძიმე წონის ათლეტთათვის. I ადგილები შესაბამისად დაიკავეს ი. მიხაილიშინმა (ლვოვი), ი. ზაიცევმა (მოსკოვი), ვ. იგლევმა (მოსკოვის ოლქი) და ვ. ანისიმოვმა (მოსკოვი).



## საქართველოს ჩემპიონატი

შედგა მორიგი ტურის მატჩები.

● „დურუჯი“ (ყვარელი) — „სულორი“ (ვანი) 3:0. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

● ასკ (თბილისი) — „ფეიქარი“ (წულუკიძე) 6:1. მსაჯი ა. იზრაელაშვილი (ფოთი).

● „აერო“ (გალი) — „ნარინჯი“ (ბათუმის რაიონი) 2:0. მსაჯი ა. სიანოზოვი (თბილისი).

მთელი ტაიმის განმავლობაში მინდორზე მიმდინარეობდა თანაბარი ბრძოლა, მაგრამ მაშინ, როცა შესვენებამდე დარჩენილი იყო სულ რაღაც 15 წამი, „ნარინჯის“ კარში გატანილ იქნა გოლი. ამის შემდეგ გალელები უფრო მონდომებით თამაშობდნენ და ანჯაფარიძემ მეორედ აიძულა მეტოქე ცენტრიდან დაეწყო თამაში.

● „არაგვი“ (მცხეთა) — „გარეჯი“ (საგარეჯო) 2:0. მსაჯი ბ. ცხაკაია (თბილისი).

● „ბახმარო“ (ჩოხატაური) — „სპარტაკი“ (ბორჯომი) 1:1. მსაჯი ზ. თოდაძე (ქუთაისი).

მატჩის მსვლელობაში ორივე გუნდი ხშირად უშვებდა უზუსტობას, მოთამაშეები კარგავდნენ ბურთს, ჩქარობდნენ, ამიტომ თამაში უინტერესო გამოდგა.

● „ისანი“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 0:3. მსაჯი ე. შახნაზაროვი (თბილისი).

ბრძოლა თავიდანვე დაიძაბა. ტაიმის მიწურულს ანგარიში გახსნა სამტრედიელმა დოლიძემ. შესვენების შემდეგ რკინიგზელებმა კიდევ უფრო გააძლიერეს იერიში და ჩაჩუასა და ყარალაშვილის მიერ გატანილი ბურთების შემდეგ დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს.

● „მშენებელი“ (სიღნაღი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 2:1. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

პირველი ბურთი გაიტანეს სტუმრებმა (მეტრეველი), მაგრამ მათ ვერ შეძლეს ამ უპირატესობის შენარჩუნება: სულ რამდენიმე წუთის შემდეგ ლაკერბაიამ გაქვითა გოლი. განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიეცა ბრძოლას შესვენების შემდეგ და იმავე ლაკერბაიამ ძნელი, მაგრამ დამსახურებული გამარჯვება მოუტანა სიღნაღელებს.

● „ლაითური“ (მახარაძე) — „მესხეთი“ (ახალციხე) 3:1. მსაჯი ლ. ჩიბურდანიძე (ბათუმი).

● „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „კოლხეთი“ (ცხაკაია) 2:2. მსაჯი გ. აკობაშვილი (თბილისი).

მატჩმა დიდი ინტერესი გამოიწვია, ვინაიდან ორივე გუნდი გათამაშების ცხრილის ზემო ნახევარში იმყოფებოდა და გამარჯვება დიდ უპირატესობას აძლევდა ერთ-ერთ მათგანს. პირველი 20 წუთის მანძილზე ზესტაფონელებს მხოლოდ დაცვაზე უხდებოდათ ზრუნვა. მთელი რიგი სახიფათო მომენტების შემდეგ ქაჩიბაიამ („კოლხეთი“) გაგზავნა ბურთი „მეტალურგის“ კარში. მხოლოდ ტაიმის დასასრულს შეძლეს მასპინძლებმა მდგომარეობის გათანაბრება, რასაც მოჰყვა კვინიკაძის საპასუხო გოლი. მეორე ტაიმში დაწინაურდნენ უკვე მასპინძლები (ბედოშვილი) და ახლა ცხაკაიელებს მოუხდათ ანგარიშის გათანაბრებაზე ფიქრი. ეს შეძლო ინჯგიამ.

● „კოლმეურნე“ (წალენჯიხა) — „სინათლე“ (თბილისი) 0:0. მსაჯი გ. პოლოსიანი (სოხუმი).

### გათამაშების ცხრილი

I ჯგუფი

მდგომარეობა 10 აპრილისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სინათლე“ (თბილისი) | 6 | 5 | 1 | 0 | 9—1 | 11 |
| „აერო“ (გალი) | 6 | 4 | 2 | 0 | 13—5 | 10 |
| „სპარტაკი“ (ბორჯომი) | 6 | 3 | 3 | 0 | 11—6 | 9 |
| „ლოკომოტივი“ (სამტრედია) | 6 | 4 | 1 | 1 | 9—4 | 9 |
| „სულორი“ (ვანი) | 6 | 4 | 0 | 2 | 8—7 | 8 |
| ასკ (თბილისი) | 6 | 2 | 3 | 1 | 11—5 | 7 |
| „კოლხეთი“ (ცხაკაია) | 5 | 2 | 3 | 0 | 8—4 | 7 |
| ფიზკულტურის ინსტ. (თბილისი) | 6 | 3 | 1 | 2 | 10—8 | 7 |
| „მშენებელი“ (სიღნაღი) | 6 | 2 | 3 | 1 | 7—7 | 7 |
| „დურუჯი“ (ყვარელი) | 5 | 3 | 0 | 2 | 11—5 | 6 |
| „მეტალურგი“ (ზესტაფონი) | 6 | 2 | 2 | 2 | 7—6 | 6 |
| „მესხეთი“ (ახალციხე) | 5 | 2 | 1 | 2 | 6—7 | 5 |
| „კოლმეურნე“ (წალენჯიხა) | 7 | 1 | 3 | 3 | 5—9 | 5 |
| „არაგვი“ (მცხეთა) | 4 | 2 | 0 | 2 | 5—5 | 4 |
| „სამცხე“ (აწყური) | 5 | 1 | 2 | 2 | 6—7 | 4 |
| „ლაითური“ (მახარაძე) | 5 | 1 | 2 | 2 | 4—6 | 4 |
| „გარეჯი“ (საგარეჯო) | 6 | 2 | 0 | 4 | 7—9 | 4 |
| „ნარინჯი“ (ბათუმის რაიონი) | 6 | 1 | 2 | 3 | 6—11 | 4 |
| „ფეიქარი“ (წულუკიძე) | 6 | 1 | 2 | 3 | 7—15 | 4 |
| „ისანი“ (თბილისი) | 7 | 1 | 1 | 5 | 3—15 | 3 |
| „ქართლი“ (გორის რაიონი) | 5 | 0 | 1 | 4 | 1—6 | 1 |
| „ბახმარო“ (ჩოხატაური) | 6 | 0 | 1 | 5 | 3—10 | 1 |

## მოზარდთა ტურნირი

დაიწყო ოსტატთა კოლექტივებთან არსებული მოსამზადებელი ჯგუფების ტურნირი.

I ზონა. „დინამო“ (თბილისი) — „დილა“ (გორი) 1:0, განათლების განყოფილება (თბილისი) — „შრომითი რეზერვები“ (თბილისი) 2:0, „მეტალურგი“ (რუსთავი) — მწვრთნელთა სკოლა (თბილისი) 1:1, „ალაზანი“ (გურჯაანი) — „ქარიშხალი“ (თბილისი) 3:3. თელავის „კახეთს“ დამარცხება ჩაეთვალა ცხინვალის „სპარტაკთან“ შეხვედრაში.

II ზონა. „ტორპედო“ (ქუთაისი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 8:0, „მალაროელი“ (ჭიათურა) — „კოლხეთი“ (ფოთი) 1:0, „დინამო“ (ბათუმი) — „ენგური“ (ზუგდიდი) 8:0, „მერცხალი“ (მახარაძე) — „გურია“ (ლანჩხუთი) 1:1, ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლა (ვაგრა) — „მუქურა“ (ქობულეთი) 2:1.

# ყინული დაიძრა

საკმარისია გადავხედოთ ბოლო წლების სპორტულ კალენდარს და დავრწმუნდებით, რომ წლევანდელი წელიწადი გარდატეხის ჟამია მხატვრული ტანვარჯიშისთვის, განსაკუთრებით, ჩვენს რესპუბლიკაში. კარგა ხნის „სიჩუმის“ შემდეგ თითქმის გაორკეცდა ღონისძიებათა რიცხვი — იანვრიდან დღემდე უკვე გაიმართა ექვსი საინტერესო ასპარეზობა. ერთი სიტყვით, ყინული დაიძრა.

როგორც იქნა, მხატვრულმა ტანვარჯიშმა ფეხი მოიკიდა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის პროგრამაში, უკვე რეგულარულად ტარდება მსოფლიო პირველობა... სპორტის ამ სახეობის პოპულარობა თანდათან უფრო შესამჩნევი ხდება.

ჩვენი ტანმოვარჯიშეებისთვის უახლოესი საპასუხისმგებლო ასპარეზობა სსრ კავშირის პირად-გუნდური ჩემპიონატია, რომელიც აპრილის მეორე ნახევარში ლენინგრადში ეწყობა. სწორედ ამ ტურნირისთვის მოსამზადებელი ერთ-ერთი შეჯიბრება იყო საქართველოს პირად-გუნდური პირველობა, რომელიც ახლახან გაიმართა თბილისში. ჩვენ ვნახეთ თბილისის (2), ქუთაისის, ბათუმისა და რუსთავის გუნდები და ვერ ვიხილეთ სოხუმელი ტანმოვარჯიშეები, რომლებიც საქართველოს ჩემპიონატებში მუდამ საპრიზო ადგილის პრეტენდენტები იყვნენ.

სავალდებულო პროგრამის დაწყებისთანავე გამარჯვებისთვის დაძაბული ბრძოლა გააჩაღეს ნ. სალაძემ, ნ. ჩიხლაძემ, ნ. სკრიპუნოვამ, ე. როყვამ და ნ. რევაზიშვილმა. სამეული პირველ დღეს ასე გამოიკვეთა: სალაძე — 36,8, სკრიპუნოვა — 34,65, ჩიხლაძე — 34,45.

საინტერესო გამოდგა შეჯიბრება ნებისმიერი პროგრამით. როგორც მოსალოდნელი იყო, აქ ტოლი არ ჰყავდა სალაძეს. მან ოსტატურად შეასრულა ვარჯიში უსაგნოდ. მაყურებელი მოხიბლა ქართულ მელოდიასთან შერწყმულმა საოცრად ნაზმა მოძრაობებმა, ელასტიკურობამ, ტემპერამენტმა. შედეგმაც არ დააყოვნა: 10 ქულა! ასე შეაფასეს მსაჯებმა სალაძის გამოსვლა.

კარგად იასპარეზეს როყვამ, სკრიპუნოვამ, რევაზიშვილმა, ჩიხლაძემ (ყველანი — თბილისი), ბათუმელებმა ნ. კრივონოგოვამ, გ. ნიკოდიმოვამ, ი. პოლონსკაიამ, ქუთაისელებმა ნ. ქათამაძემ და ს. ბრიკმა.

რესპუბლიკის აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მოიპოვა სალაძემ — 56,55. II-III ადგილებს გაიყვეს სკრიპუნოვამ და ჩიხლაძემ — 52,8-52,8.

პირველი თანრიგის პროგრამით მოასპარეზეებში [illegible] ს. ბარიშნიკოვამ, ნ. [illegible] და რუსთაველმა ნ. [illegible].

გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: 1. თბილისი — 281,2 ქულა, 2. ბათუმი — 223,15, 3. ქუთაისი — 218,1.

**ნ. სალუქვაძე,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი,
**შ. ქაჯაია,**
სპორტის ოსტატი.

**რედაქციისგან:** ჩემპიონატის მთავარი მსაჯის ნ. სალუქვაძისა და სპორტის ოსტატ შ. ქაჯაიას წერილი ტურნირის მხოლოდ ტექნიკურ მხარეს ასახავს. მაგრამ შეჯიბრებას მეორე, ორგანიზაციული მხარეც აქვს. ამ მხრივ ეს ღონისძიება აშკარად მოიკოჭლებდა. დავიწყოთ თუნდაც იმით, რომ ასეთი ტურნირის ჩატარება ფიზკულტურის ინსტიტუტის პატარა დარბაზში ყოვლად დაუშვებელია. სპორტსმენები ფეხზე იდგნენ და ისე ელოდნენ გამოძახებას, მაყურებლისთვის კი სამიოდე გრძელი სკამი, რასაკვირველია, არ კმაროდა. ნაკლებად შთამბეჭდავი იყო შეჯიბრების საზეიმო გახსნა. ასე ამბობენ, თორემ საზეიმო აქ არაფერი იყო...





ხურათებზე: ნ. სკრიპუნოვა (ზევით) და ნ. ჩიხლაძე ასპარეზობისას.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# სტუდენტთა მეექვსე...

დღეს თბილისში იწყება სტუდენტთა VI რესპუბლიკური თამაშები. სტარტი მიეცემა შეჯიბრებებს ტანვარჯიშში, მაგიდის ჩოგბურთსა და ჭადრაკში, შემდეგ კი ბრძოლაში თანდათანობით ჩაებმებიან სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლებიც.

აი, თამაშების გრაფიკი:

აკრობატიკა. 15-17 აპრილი. ფიზკულტურის ინსტიტუტის დარბაზი.
კალათბურთი. 11-15 მაისი. კიროვის სახელობის პარკი.
კროსი. 13-15 მაისი. ცხინვალი.
თავისუფალი ჭიდაობა. 13-15 მაისი. გორი.
კლასიკური ჭიდაობა. 10-12 მაისი. გორი.
სამბო. 29-30 აპრილი. გორი.
ქართული ჭიდაობა. 26-28 აპრილი. გორი.
ველოსპორტი (გზატკეცილი). 21-23 აპრილი. საქართველოს სამხედრო გზა.
ველოსპორტი (ტრეკი). 24-25 აპრილი. თბილისის სპორტკავშირის ტრეკი.
ფრენბურთი. 24-28 აპრილი. თბილისის სპორტკავშირის მოედნები.
ტანვარჯიში. 10-12 აპრილი. განათლების სამინისტროს ბავშვთა ტანვარჯიშული დარბაზი.
მხატვრული ტანვარჯიში. 5-8 მაისი. პოლიტექნიკური ინსტიტუტის დარბაზი.
მძლეოსნობა. 28-30 აპრილი. „დინამოს“ სტადიონი.
ცურვა. 24-26 აპრილი. რესპუბლიკის სპორტკავშირის აუზი.
ხელბურთი. 6-10 მაისი. კიროვის სახელობის პარკი.
ტყვიის სროლა. 6-10 მაისი. ავჭალის სასროლეთი.
ჩოგბურთი. 17-19 აპრილი. თბილისის სპორტკავშირის კორტები.
მაგიდის ჩოგბურთი. 10-14 აპრილი. „ბურევესტნიკის“ დარბაზი.
ბაიდარებითა და კანოეთი ნიჩბოსნობა. 6-7 მაისი. თბილისის ზღვა.
ძალოსნობა. 15-17 აპრილი. „განთიადის“ დარბაზი.
ფარიკაობა. 26-30 აპრილი. „ბურევესტნიკის“ დარბაზი.
ჭადრაკი. 10-14 აპრილი. ცენტრალური საჭადრაკო კლუბი.
წყალში ხტომა. 28-29 აპრილი. რესპუბლიკის სპორტკავშირის აუზი.
წყალბურთი. 28-30 აპრილი. რესპუბლიკის სპორტკავშირის აუზი.
ფეხბურთი. საგანგებო კალენდრით.

## სსრ კავშირის ჩემპიონატები კალათბურთში

# შესუსტებული ძალებით

თბილისი. სპორტის სასახლე. 8 აპრილი.

„ბურევესტნიკი“ (თბილისი) — ასკ (რიგა) 71:69 (38:44).

„ბურევესტნიკი“: გლურჯიძე (4), ლომაძე (2), კოვალენკო (24), ბიჭიაშვილი (20), ლეჟავა (10), ჩხიკვაძე (11).

ასკ: სტრელისი (8), ეგლიტისი (6), ლეგზდინში (6), ფრეიმანისი (16), იასუნე (2), ზეიდაკსი (4), ზაბელო (6), კალნინში (16), ვერიტისი (2), დავიდი (3).

მსაჯები: დ. დავთიანი და ა. ნოვოსარდოვი (ორივე — ერევანი).

თბილისის „ბურევესტნიკმა“ რიგის არმიელებს ოთხიდან მხოლოდ ერთი შეხვედრა მოუგო. და მაინც, სატურნირო ცხრილში ისინი ერთმანეთის გვერდით დგანან. უფრო მეტიც, თბილისელებს პოტენციურად უკეთესი მდგომარეობა აქვთ, ვინაიდან 18 ქულა მათ 37 მატჩის შემდეგ დააგროვეს, არმიელებმა კი ამდენივე ქულას 40 შეხვედრა მოანდომეს. რიგელებს ჩასატარებელი აქვთ 4 მატჩი (ორი შინ და ორიც სტუმრად), „ბურევესტნიკს“ — 7 (ორი შინ, ხუთი სტუმრად). ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ორ გუნდს შორის ბრძოლა ჯერ კიდევ წინაა და წინასწარ რაიმე დასკვნის გამოტანა უაზრობაა.

განმეორებითი მატჩი სტუმრებმა სუსტად ჩაატარეს, რაც, ჩემი აზრით, ნაწილობრივ, თბილისელების დამსახურებაცაა. თუ პირველ ტაიმში გუნდები ასე თუ ისე თანაბრად გამოიყურებოდნენ, შესვენების შემდეგ მასპინძლების უპირატესობა უდავო გახლდათ და შეხვედრის ბედიც სწორედ ამან გადაწყვიტა.

„ბურევესტნიკი“ ამ მატჩშიც ჩვეულებისამებრ შესუსტებული ძალებით ასპარეზობდა. ტრავმის გამო მასპინძელთა რიგებს გამოაკლდა მანაგაძეც და გუნდის შემადგენლობაში ფაქტიურად 6 საბრძოლო ერთეული დარჩა. სტუმრებმა, პირიქით, ბრძოლის ქარცეცხლში მთელი რეზერვი გაატარეს და მხოლოდ ამის შემდეგ მოაწერეს ხელი კაპიტულაციას.

პირველი 20 წუთი მეტოქეებმა სხვადასხვაგვარად ჩაატარეს. არმიელები უფრო გეგმიანად, გაშლილი ფრონტით უტევდნენ და წარმატებაც ფაქტიურად ყველა კალათბურთელზე თანაბრად განაწილდა. შესვენების შემდეგ როლები მკვეთრად შეიცვალა. რიგელთა ორგანიზებული იერიშებიდან არ დარჩა არაფერი. მხოლოდ ძველი გვარდიის წარმომადგენელი კალნინში იბრძოდა ისე, როგორც ხუთიოდე წლის წინ, მაგრამ ერთი მერცხალი გაზაფხულს ხომ ვერ მოიყვანს.

„ბურევესტნიკმა“ გაიმარჯვა იმიტომ, რომ მას ბოლომდე გაჰყვა საბრძოლო სული, მონდომება და იმიტომაც, რომ დიდი სურვილი ჰქონდა ბოლოსდაბოლოს გაეტეხა ნავსი (ამ ორი კოლექტივის ოფიციალურ შეხვედრებში აშკარა უპირატესობა რიგელთა მხარესაა).

**ნ. გუგუშვილი.**

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 9 აპრილისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (თბილისი) | 36 | 26 | 10 | 2672—2484 | 26 |
| ასკ (კიევი) | 39 | 25 | 14 | 2738—2587 | 25 |
| ცსკა | 38 | 24 | 14 | 2516—2368 | 24 |
| „სპარტაკი“ (ლენინგრადი) | 38 | 24 | 14 | 2753—2661 | 24 |
| „სტროიტელი“ (კიევი) | 38 | 21 | 17 | 2495—2447 | 21 |
| „კალევი“ (ტარტუ) | 38 | 20 | 18 | 2547—2464 | 20 |
| ვეფ (რიგა) | 38 | 19 | 19 | 2658—2656 | 19 |
| „ჟალგირისი“ (კაუნასი) | 36 | 18 | 18 | 2520—2486 | 18 |
| ასკ (რიგა) | 40 | 18 | 22 | 2886—2883 | 18 |
| „ბურევესტნიკი“ (თბილისი) | 37 | 18 | 19 | 2464—2416 | 18 |
| „ბურევესტნიკი“ (ბაქო) | 38 | 7 | 31 | 2787—3237 | 7 |
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 38 | 7 | 31 | 2592—2955 | 7 |

# ნანატრი ქულა

**ბაქო, 8 აპრილი.** ლენინგრადის „სპარტაკს“ უკან დასახევი გზა მართლაც აღარ ჰქონდა. ხუმრობა საქმე როდია: ჩემპიონატის ლიდერმა სტუმრად ზედიზედ 7 ქულა დაკარგა!

ადგილობრივ „ბურევესტნიკთან“ განმეორებით მატჩში სპარტაკელებმა მიზნად დაისახეს გამარჯვება და ბოლოსდაბოლოს აიღეს კიდეც ნანატრი ქულა — 86:77 (56:36).

# ბოლო ეტაპი

კაუნასი, 9 აპრილი. გუშინ აქ დაიწყო კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტურის მატჩები. შეგახსენებთ გუნდების მდგომარეობას ამ საპასუხისმგებლო ასპარეზობის წინ: 1. ტტტ (რიგა) — 16 ქულა (16 თამაშიდან), 2. „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი) — 13, 3. „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) — 11, 4. „კიბირკშტისი“ (ვილნიუსი) — 9, 5. „დინამო“ (მოსკოვი) — 9, 6. „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — 9, 7. სპი (თბილისი) — 7, 8. „დინამო“ (კიევი) — 6, 9. ასკ (ლენინგრადი) — 5, 10. „დინამო“ (ნოვოსიბირსკი) — 5, 11. „პოლიტექნიკა“ (კაუნასი) — 3, 12. „ტექსტილმაში“ (ტაშკენტი) — 3.

როგორც ხედავთ, ჩემპიონობის საკითხი ეჭვს არ იწვევს — ტტტ, რა თქმა უნდა, არ დათმობს თავის პოზიციას და შეინარჩუნებს უმაღლეს ტიტულს. დაძაბული ბრძოლაა მოსალოდნელი სატურნირო ცხრილის ქვედა ნახევარში. დებულების თანახმად, ბოლო ორ ადგილზე გასული გუნდები დაბალი ლიგის II და III პრიზიორებთან ერთად სპეციალურ ტურნირში გამოავლენენ იმ კოლექტივს, რომელიც გაისად უძლიერესთა შორის ითამაშებს (მეორე ლიგის ტურნირში გამარჯვებული პირდაპირ გადადის „ა“ კლასის უმაღლეს ლიგაში).

მოგვყავს დასკვნითი ტურის პირველი დღის შეხვედრათა შედეგები: ტტტ — „დინამო“ (ნოვოსიბირსკი) 76:46, „სპარტაკი“ — „ტექსტილმაში“ 76:40, „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (კიევი) 57:42, „ბურევესტნიკი“ — ასკ 39:45, „კიბირკშტისი“ — „პოლიტექნიკა“ 55:49, „ურალმაში“ — სპი 67:48 (36:20).

# სტარტზე — მშრომელთა რეზერვი

ჩვენს დედაქალაქში დამთავრდა საქართველოს პროფტექგანათლების სისტემის სასწავლებლების XXI ზონალური (თბილისის) სპარტაკიადა, რომელიც კომკავშირის 50 და „შრომითი რეზერვების“ 25 წლისთავს მიეძღვნა.

კალათბურთსა და მძლეოსნობაში ყველას აჯობეს მე-11 სასწავლებლის სპორტსმენებმა, ფრენბურთელთა ტურნირი 32-ე სასწავლებლის კოლექტივმა მოიგო. თავისუფალ ჭიდაობაში გუნდური პირველობა 31-ე სასწავლებლის ნაკრებმა დაისაკუთრა, პირად პირველობაში კი უძლიერესნი იყვნენ ამავე კოლექტივის სპორტსმენები გ. კაპანაძე, ი. მჭედლიძე, ბ. ბადურაშვილი, ზ. ჩიგოევი, შ. ხაჩიძე, მე-18 სასწავლებლის აღზრდილები ჯ. ლიპარტაშვილი, ს. ცხოვრებოვი და გ. გელაშვილი. პირველობა მოიგეს, აგრეთვე, ი. ბურჯიაშვილმა (მე-5 სასწავლებელი) და რ. კორბესოვმა (მე-6 სასწავლებელი).

31-ე სასწავლებლის სპორტსმენებმა თავი ისახელეს ბაიდარებითა და კანოეთი ნიჩბოსნობაში. მათ ყველას აჯობეს გუნდურ პირველობაში და პირად ჩათვლაშიც სხვებზე მეტი საპრიზო ადგილი დაისაკუთრეს. ერთადგილიანი ბაიდარით 500 და 1000 მეტრზე რბოლაში ი. ბექაურმა შესაბამისად 2.09,1 და 4.24,1 აჩვენა, ორადგილიანით 500 მეტრზე რბოლა კი ბ. ცხოვრებოვმა და ე. ღვიბრაძემ მოიგეს. ერთადგილიანი კანოეთი 1000 მეტრზე რბოლის ფინიშთან ყველას ე. ჯიოევმა მიასწრო (5.01,8), ორადგილიანით 500 და 1000 მეტრზე რბოლაში კი გ. ანთაძემ და რ. წიკლაურმა გაიმარჯვეს. 1000 მეტრზე ორადგილიანი ბაიდარით შეჯიბრებაში ჩემპიონობა მოიპოვეს თ. ჩივიძემ და ვ. ჩივაძემ (მე-11 სასწავლებელი).

მძლეოსანთა პირადი შეჯიბრებიდან აღსანიშნავია მხოლოდ რამდენიმე შედეგი. დავასახელებთ, მაგალითად, მე-11 სასწავლებლის მოსწავლეს თ. კოვალენკოს, რომელიც 645 სმ სიგრძეზე გადახტა; ს. მურადოვმა (31-ე სასწავლებელი) 100 მეტრი 11,6 წამში გაირბინა. სულ მძლეოსანთა შეჯიბრებაში 60 სპორტსმენი ჩაება, მათგან II თანრიგის შედეგი აჩვენა ოთხმა, III თანრიგისა — თექვსმეტმა მონაწილემ.

დამაკმაყოფილებელი შთაბეჭდილება დატოვა ტყვიის მსროლელთა ტურნირმა. მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე (3×20) სროლაში ყველას აჯობა რ. კაკიტელაშვილმა, რომელმაც 543 ქულა მოაგროვა და I თანრიგის ნორმატივი შეასრულა. მეორე იყო ა. პაპაშვილი, მესამე — ი. ადეიშვილი. გუნდურ ჩათვლაშიც მე-5 სასწავლებლის წარმომადგენლებმა ისახელეს თავი. ამავე იარაღით წოლელა 60 გასროლაში საპრიზო ადგილები ამავე თანმიმდევრობით დაისაკუთრეს ზემოდასახელებულმა სპორტსმენებმა, რომელთაც შესაბამისად 580, 572 და 565 ქულა დააგროვეს.

მაგიდის ჩოგბურთშიც მე-5 სასწავლებლის აღსაზრდელები პირველობდნენ. ერთეულთა თანრიგში გაიმარჯვა ა. ტუზოვმა, რომელმაც შემდეგ ტ. მკოიანთან ერთად მოიგო წყვილთა შეჯიბრებაც.

ფეხბურთში 31-ე სასწავლებელმა მოუგო მე-11 სასწავლებელს (1 : 0), მე-18 სასწავლებელს (7 : 0), 32-ე სასწავლებელს (6 : 1), მე-5 სასწავლებელს (8 : 0) და, ბოლოს, მე-6 სასწავლებლის გუნდს (13 : 1).

საერთო ჩათვლაში ზონალური სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვა მ. თოიძის სახელობის მე-11 სასწავლებლის გუნდმა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ 31-ე და 32-ე სასწავლებლების კოლექტივები.

**ი. რუხაძე,**
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

# კრილოვის არაკივით...

აჰა, დაიწყო ახალი საფეხბურთო ჩემპიონატი. ადრინდელისგან განსხვავებით იგი „მრავალსაფეხურიანია": ჯერ ერთი მატჩი, შემდეგ — 3 და, ბოლოს, სრული ტური. ეს გამოწვეულია ჩვენი გუნდების მონაწილეობით საერთაშორისო ტურნირებში.

ისევე, როგორც შარშან, ყველა გუნდმა (ცსკა-ს გამოკლებით) კარგი მომზადება და ძალთა შემოწმება გაიარა „ენძელას" პრიზის გათამაშებაში. ეს იგრძნობოდა პირველივე მატჩებში: კარგი ფიზიკური მომზადება, შრომისუნარიანობა, ე. წ. „ენერგეტიკული რესურსები" შესამჩნევი იყო თითქმის ყველა შეხვედრაში.

„ენძელას" თასის ფინალურმა მატჩმა დაგვავიწყა, რომ იგი ნათამაშევი იყო მარტში. ეს იყო თამაში, სადაც არ ყოფილა ბეტონირებული „ნავებობანი" საკუთარ კართან, არც ყრუ პერსონალური მეურვეობა, არც უხეშობა. ორივე გუნდმა აჩვენა სრულფასოვანი, „ღია ფეხბურთი", რომელიც საშუალებას აძლევდა ყველა მოთამაშეს სრულად გამოევლინა თავისი უნარი. ამიტომაც იხილეს მაყურებლებმა ბანიშევსკის, მარქაროვის, ტუაევის, იაშინის, გუსაროვის, ავრუცკის საუკეთესო თამაში.

სსრ კავშირის ჩემპიონის — კიევის „დინამოსა" და ქუთაისის „ტორპედოს" თამაშიც ასევე აღსავსე იყო სიხალისით, ტემპერამენტითა და ორიგინალურობით. მასპინძლებმა ითამაშეს სრული შესაძლებლობით, კარგად, მახვილგონივრულად, მაგრამ შეტევაში მათ არ ყოფნიდათ ის „საშემსრულებლო ოსტატობა", რომელმაც საბოლოო ანგარიშში გადაწყვიტა მატჩის ბედი. შეიძლება ითქვას, რომ ქუთაისელები უფრო მეტს ფლობდნენ ბურთს, დროის მეტი ნაწილი გაატარეს მეტოქის ნახევარზე, უფრო ხშირად ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს... ერთი სიტყვით, იყო ჭექა-ქუხილი, აი, წვიმა კი არ წამოვიდა.

რაც შეეხება კიეველებს, მათ ძალზე ჭკვიანურად გამოიყენეს მასპინძელთა შეცდომები.

მაგრამ ორივე მატჩში მაინც შესამჩნევი იყო, რომ თავდამსხმელთა თამაში არაა საკმარისად დახვეწილი საიმისოდ, რომ სწრაფ ტემპში და კოლექტიურ კონტრთამაშში შეძლონ კომბინაციათა დასრულება. ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო თბილისის დინამოელთა შეხვედრა მოსკოვის „სპარტაკთან".

გუნდები ემზადებოდნენ ერთნაირ პირობებში, ერთ რაიონში და ორივე საკმაოდ წარუმატებლად გამოვიდა „ენძელას" თასზე. ისინი სეზონის წინ ხშირად ხედავდნენ ერთმანეთს და ამიტომ თამაში დაიწყეს მინიმალური დაზვერვით მხოლოდ იმისთვის, რომ შეჩვეოდნენ მინდორს, მოთამაშეთა განლაგებას და გაცნობოდნენ ერთმანეთის „სადებიუტო სისტემას". ამის შემდეგ გაჩაღდა საკმაოდ ცოცხალი, უშელავათო ბრძოლა, რომელმაც მაშინვე გამოამჟღავნა ორივე გუნდის ზოგიერთი სისუსტე როგორც დაცვაში, ისე ნახევარდაცვაშიც. თითქოს ეს ხელსაყრელი შემთხვევა იყო თავდამსხმელებისთვის — ეჩვენებინათ მთელი თავიანთი ხელოვნება, უნარი და გამოცდილება, მაგრამ სწორედ აქ გამოჩნდა მათ თამაშში არსებული ხარვეზები ტექნიკურ ოსტატობაში. მაყურებელმა ბევრი საგოლე მომენტი ნახა, მაგრამ გოლი — ვერც ერთი.

ასევე „მშრალად" დამთავრდა მატჩი ტაშკენტში ადგილობრივ „პახტაკორსა" და მოსკოვის „ტორპედოს" შორის, მოსკოვის „დინამოს" შეხვედრა ლუგანსკის „ზარიასთან" და კიეველებისა — კიროვაბადელებთან. საერთოდ, ტური არ იყო უხვმოსავლიანი: 20 გუნდმა სულ 17 ბურთი გაიტანა.

უმეტეს შემთხვევაში ეს მცირემედეგიანობა ნაყოფი იყო დაცვითი ტაქტიკისა, რომელიც გუნდებს დამარცხებისგან „იცავს". მართალია, ასეთ ტაქტიკას შეუძლია გადაარჩინოს გუნდი, მაგრამ შეიძლება ვერც გადაარჩინოს. ყოველ შემთხვევაში, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ გუნდები, რომლებიც „ყრუ დაცვას" მიმართავენ ჩემპიონატის გრძელ დისტანციაზე, როგორც წესი, ადგილებს იკავებენ 20-სართულიანი სატურნირო შენობის ქვედა სართულებზე, ხოლო მაღლა, ჩვეულებრივ, იმყოფებიან კლუბები, რომლებიც შემტევ ფეხბურთს თამაშობენ. ამ უკანასკნელთა მოქმედებაში შეტევისა და დაცვის ამოცანები ერთმანეთს შეხამებულია: ბურთის გაჩერება მეტოქის ნახევარზე, იქ გათამაშებული კომბინაციები და კარში დარტყმები, ცხადია, საგრძნობლად ამსუბუქებს დაცვითს ფუნქციებსაც.

ეს ახალი საკითხი როდია. დავა დიდი ხანია მიმდინარეობს და, მიუხედავად ამისა, ისევ და ისევ გვიხდება დავუბრუნდეთ მას. საქმე ის არის, რომ ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატში ბევრმა ჩვენმა მწვრთნელმა ნახა, რომ მასპინძელთა ნაკრები თამაშობდა წინ წაწეული ორი თავდამსხმელით (ჰანტი და ჰერსტი), შუა ხაზზე კი ჰყავდა 4 ნახევარმცველი, რომელთაგან სამს შეეძლო თავდამსხმელის ფუნქციათა შესრულება (ბოლი, პიტერსი, ჩარლტონი) და ბრმად შეუდგა ამ ტაქტიკის გადაღებას. მაგრამ უკან დაწეულ თავდამსხმელებს ჩვენი მწვრთნელები გულმოდგინედ ავალებდნენ პასუხისმგებლობას მინდვრის შუაგულისა და საკუთარი საჯარიმო მოედნისთვის. აი, ამიტომ ვხედავთ ბევრი გუნდის თამაშში, რომ თავდამსხმელები ჩვეულებრივ დგანან „ვახტზე" ცენტრალურ წრეში, ხოლო მთელი გუნდი (ხან ერთი, ხან მეორე) მოთამაშეთა დიდი ჯგუფით იბრძვის საჯარიმო მოედანზე. აი, რას იწვევს მექანიკური შეხედულება მოთამაშეთა განლაგებაზე.

გვეყოფა კარგი ბრაზილიური სისტემის სამწუხარო გაკვეთილებიც, როცა ზოგიერთებმა ვერ გაიგეს იგი, გადავიდნენ მოთამაშეთა მექანიკურ განლაგებაზე, ვერ იპოვეს „თავიანთი თამაში" და ამის შემდეგ შეუდგნენ ბრაზილიელთა... ლანძღვას. მწვრთნელები აშკარა მიდრეკილებას იჩენდნენ მცველთა რაოდენობის გაზრდისადმი და ასევე აშკარა გაუბედაობას — 4 თავდამსხმელის წინა ხაზზე წაწევისას.

ახლა თანდათან იშლება ზღვარი ნახევარმცველთა და თავდამსხმელთა შორის, მაგრამ ეს მხოლოდ იმ კლუბებში, სადაც ნახევარმცველებს ათვისებული აქვთ იერიშის დაწყება შუა მინდვრიდან და ორნი სამიდან (ან სამნი ოთხიდან) მიდიან წინ, რითაც თავისებურად ჰგვანან „დუბლ-ვეს" ადრინდელ შუამარბებს. ამ დროს შეტევაში მონაწილეობს სულ ცოტა 5 ფეხბურთელი, რომელთაც აქვთ თავდამსხმელების ჩვევები და შეუძლიათ კომბინაციური თამაში, მოწინააღმდეგის მცველთა მოტყუება, დროზე გახსნა ბურთის მისაღებად, კარში დარტყმა და ა. შ. მინდვრის შუაგულის ასეთი მოთამაშეები თითქმის არაფრით განსხვავდებიან თავდამსხმელთაგან. ამგვარი ნახევარმცველები ჰყავთ კიეველებს (მუნტიანი, საბო, სერებრიანიკოვი, მედვიდი, პუზაჩი), მოსკოვის დინამოელებს (გუსაროვი, მასლოვი, ვშივცევი), თბილისელებს (კუტივაძე, ასათიანი), ბაქოელებს (გაჯიევი, ზეინალოვი).

გუნდების უმეტესობა შუა მინდვრის მოთამაშეთა როლს ჩვეულებრივ განსაზღვრავს დაცვითი ფუნქციებით და მხოლოდ კონტრიერიშებში მონაწილეობით, მაგრამ ის, ვინც თავის შემადგენლობაში არ ზრდის შემტევი ტიპის მოთამაშეებს და მათ მთავარ ამოცანას ხედავს დაცვის დახმარებაში, აუცილებლად ზღუდავს თავისი გუნდის შესაძლებლობებს, აქცევს მას მუდმივ, კარგად „მოწყობილ" (როგორც მათ ჰგონიათ) აუღებელ ციხე-სიმაგრედ. ასეთი თამაშისას წინ, ბურთის მოლოდინში, მორიგეობს 3 ან 2 თავდამსხმელი, რომლებსაც უკან დახევა უხდებათ გადაცემის მისაღებად და ამ ყბადაღებული კონტრშეტევის წამოსაწყებად.

სამწუხაროდ, ე. წ. კონტრშეტევა, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ფორმას დაცვიდან შეტევაზე გადასასვლელად, იქცა თამაშის მუდმივ ფორმად და თავისებურ ტაქტიკად. ასეთი განცხადების მოწმენიც ვყოფილვართ:

— დღეს კონტრშეტევებით ვითამაშებ!

ესაა მწვრთნელები, რომლებიც მოთამაშეებისთვის ეძებენ თავშესაფარს საკუთარ კართან და უნერგავენ მათ სიფრთხილისა და სიმხდალის გრძნობასაც კი.

ასეთი ტაქტიკა გადამდები აღმოჩნდა. კონტრშეტევით ახლა ბევრი გუნდი თამაშობს, რომლებიც გრძნობენ თავიანთ სისუსტეს. და აი, გამოდის, რომ ზოგიერთ მატჩში ფეხბურთელები კარგად მოქმედებენ მინდვრის შუაგულში, მეტოქის კარიდან დიდი დაშორებით და ცუდად თამაშობენ მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედნის მახლობლად და მის ფარგლებშიც.

მართალია, ზოგჯერ არა მარტო ნახევარმცველები, არამედ მცველებიც უერთდებიან შეტევას, მაგრამ მათ ხომ არა აქვთ თავდამსხმელის ჩვევები. მათი მონაწილეობა შეტევაში მცირე ეფექტს იძლევა და რეიდი მთავრდება ან შაბლონური გადაცემით კარის წინ, ან ბურთის კარზე გადაცილებით.

უკვე შეიქმნა ისეთი თამაში, როცა თავდამსხმელები იხევენ უკან, ბევრს მოძრაობენ მინდვრის შუაგულში და უხეიროდ ასრულებენ ნახევარმცველებისა და მცველების როლს (განსაკუთრებით, ბურთის წართმევისას), მცველები კი მიიწევენ წინ, რათა ასევე უხეიროდ შეასრულონ თავდამსხმელთა როლი. საბოლოოდ კი გამოდის კრილოვის არაკივით, როცა ქადების ცხობას ხარაზი ჰკიდებს ხელს.

რასაკვირველია, თავდამსხმელს აქვს უფლება დაიხიოს უკან (მაგრამ არა თავის საჯარიმო მოედნამდე), მცველი კი გავიდეს წინ და ისწავლოს კარში დარტყმა. მაგრამ არასოდეს არ უნდა იქცეს მცველი თავდამსხმელად და თავდამსხმელი მცველად. ასეთი უნივერსალიზაცია არასოდეს არ მოხდება, ვინაიდან არსებითი განსხვავება მათ თამაშს შორის რჩება და იცვლება მხოლოდ მოთამაშის პოზიციური მდგომარეობა და სისწრაფე, რომლითაც მან უნდა ცვალოს პოზიცია.

მე შემთხვევით არ ვლაპარაკობ ამაზე ასე ბევრს. საქმე ის არის, რომ უმაღლესი ლიგის გუნდების ტაქტიკა [illegible] „ბ" კლასის კოლექტივებსაც. გატანილი გოლი [illegible] ბის ამბად ხდება — [illegible] მცირდება ფეხბურთელთა [illegible], რომლებსაც შეუძლიათ ითამაშონ როგორც თავდამსხმელებმა. ეს შესამჩნევია თვით ქართულ ფეხბურთშიც კი.

მახსოვს, ადრე, თბილისის ეზოებში ბავშვები ცარცით იწერდნენ მაისურებზე ციფრს „11". თვითეულ მათგანს სურდა მესხი ყოფილიყო. ამას წინათ ერთ ეზოში ვნახე ბავშვები, რომლებსაც ზურგზე ეწერათ „3", ე. ი. მათ სურთ ხურცილავას მიბაძონ. ადრე სსრ კავშირის ნაკრებში მიჰყავდათ ღოღობერიძე, მესხი და მეტრეველი, ახლა კი — ცხოვრებოვი და ხურცილავა.

რასაკვირველია, ძნელია აქედან რაიმე გარკვეული დასკვნის გამოტანა, მაგრამ ჩვენი ფეხბურთის განვითარებაში გამოჩნდა ასეთი ტენდენციები: თუ ჩვენ შევძლებთ „ცხოვრებისკენ მოვუხმოთ" ნახევარმცველთა დიდ ჯგუფს, თუ შევასწავლით მათ თავდამსხმელთა თამაშს, ჩვენი ფეხბურთი წავა წინ, მაგრამ თუ ბრმად გადავიღებთ სხვათა თამაშს საკუთარ შესაძლებლობათა გაუთვალისწინებლად, ასევე ვიჯდებით ნულებზე და არა მარტო საკავშირო ჩემპიონატებში.

ჩვენი ქვეყნის ნაკრების ტურნე მექსიკაში და მოსკოვის ტორპედოელთა მარცხი ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე ზემოთქმულის ნათელი ილუსტრაციაა.

და მაინც მჯერა, რომ ასეთი ძვრა მოხდება და ჩვენი გუნდები (განსაკუთრებით, სამხრეთელები) ითამაშებენ მათთვის ჩვეული ტემპერამენტით, ცეცხლოვნად, რაც ასე უყვარს მაყურებელს.

მ. მერჟანოვი.

• • •



სურათზე: თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის „სპარტაკის" შეხვედრის მომენტი.

ფოტო ა. საკოვისა.

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

### „მეშახტის" სტარტი

ტყიბული. „განთიადის" სტადიონი. 8 აპრილი.

„მეშახტე" (ტყიბული) — „მეტალურგი" (მაგნიტოგორსკი) 3:1 (1:1).

„მეშახტე": ძიძიგური, ყანჩაველი, ჩუბინიძე, ლორთქიფანიძე, ჩიტიანი, გიორგობიანი, შარაშენიძე, აუშტროვი, ჯიშკარიანი (ამირანაშვილი), თოდიძე, ქარქაშაძე.

„მეტალურგი": მალაევი, ზინინი, სულეიმანოვი, რილვო, პრუდნიკოვი, შესტაევი, გუსევი, კორობკოვი, პილიხოცა, სპივაკი (კუფუხოვი), მოხალსკი.

მსაჯი ს. არაქელიანი (ერევანი).

დუბლიორთა მატჩი არ შედგა.

მაგნიტოგორსკის გუნდი უცნობი იყო ტყიბულელი ფეხბურთელებისთვის, ამიტომ მატჩის დასაწყისში საჭირო გახდა ხადაზვერვო „სამუშაოების" ჩატარება. თამაში საკმაო ხანს გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, შემდეგ სტუმრებმა სწრაფი შეტევა განახორციელეს და პილიხოცამ კარგად გამოიყენა „მეშახტის" კართან შექმნილი ხელსაყრელი მომენტი — 1:0. ეს მოხდა 29-ე წუთზე.

მასპინძლებმა მარცხს ძლიერი იერიშით უპასუხეს და ათიოდე წუთის შემდეგ თოდიძის ზუსტმა დარტყმამ სასურველი შედეგიც მოიტანა — 1:1.

შესვენების შემდეგ ბრძოლა ახალი ძალით გაჩაღდა. მალე იმავე თოდიძემ შეუცდომლად დაამთავრა ქარქაშაძის გადაცემა და დააწინაურა თავისი გუნდი, ხოლო შემდეგ, 73-ე წუთზე, ქარქაშაძემ კიდევ ერთი, მესამე ბურთი გაიტანა სტუმართა კარში.

გათამაშების პირველ კალენდარულ მატჩში დანიშნული იყო სპეციალური პრიზები საუკეთესო ფეხბურთელთათვის. სტადიონის პრიზი, როგორც საუკეთესო თავდამსხმელს, გადაეცა თოდიძეს, ლენინის სახელობის შახტისა — საუკეთესო მცველს ჩუბინიძეს, ხოლო ნახევარმცველთაგან საუკეთესოდ მიიჩნიეს სტუმრების ფეხბურთელი გუსევი, რომელსაც გადაეცა ორჯონიკიძის სახელობის შახტის პრიზი.

ზ. ჯორჯაძე.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

### ფრე ძლიერ მეტოქესთან

ბათუმი. „დინამოს" სტადიონი. 8 აპრილი.

„დინამო" (ბათუმი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 1:1 (0:1).

„დინამო": კვახაძე, გიორგიადი, სირბილაძე, დიმანოვი, მ. გაგუა, ილურიძე, აპრესიანი (ქორიძე), ვერულიძე, გიორგაძე, მაისურაძე, ოვანესიანი.

„ურალმაში": გოლუბეევი, დეგუნოვი, ფეოკტისტოვი, ხოლნიკოვი, ეროხინი, სკუნინი, გარბუზოვი (კორშინი), პოპუგა, ეპიშინი, ჟოსი, ბოროდინი.

მსაჯი მ. ალექსეევი (ხარკოვი).

დუბლიორები — 1:0 „დინამოს" სასარგებლოდ.

ბათუმელებს პირველივე ტურში შეხვდა ძლიერი, გამოცდილი მოწინააღმდეგე, ამიტომ მაყურებელთა ინტერესი მატჩის მიმართ მნიშვნელოვნად გაიზარდა.

მასპინძლებმა პირველი ათიოდე წუთი მოწინააღმდეგის ნახევარზე გაატარეს, მაგრამ საკმარისი გახდა ყურადღების ოდნავი მოდუნება დაცვაში, რომ სვერდლოვსკელებმა სწრაფი კომბინაცია გაითამაშეს და კვახაძეს ძალიან ძნელი ბურთის აღება მოუხდა პოპუგასგან. ამ მომენტიდან დაწყებული ინიციატივა საფუძვლიანად აიღო ხელთ „ურალმაშმა". შეტევა შეტევას მოსდევდა და „დინამოს" კართან ზედიზედ იქმნებოდა სახიფათო მომენტები. მატჩის ამ პერიოდში ბათუმელებს თითქმის არ შეუქმნიათ რაიმე საშიშროება მეტოქისთვის.

32-ე წუთზე პოპუგა გაექცა მცველებს, კარგ პოზიციაში გადასცა ბურთი ეპიშინს და ამ უკანასკნელმა გახსნა ანგარიში — 1:0.

დინამოელებმა თავიანთი თამაში მხოლოდ მეორე ტაიმში მოძებნეს. რამდენიმე გრძელი გადაცემის შემდეგ, როცა თავდამსხმელები სწრაფად გადიოდნენ წინ ბურთის მისაღებად, უპირატესობა მათ მხარეს გადავიდა. მე-60 წუთზე გიორგაძემ მაისურაძის ზუსტი გადაცემიდან შეძლო საპასუხო ბურთის გატანა.

ო. მურვანიძე.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.)

# საკავშირო და რესპუბლიკური...



თბილისის იპოდრომსა და „დინამოს" სტადიონზე ორ დღეს გაგრძელდა სსრ კავშირის პირადი პირველობა სახანძრო-გამოყენებით სპორტში, რომელიც ჩვენი ქვეყნის სახანძრო დაცვის 50 წლისთავს მიეძღვნა. ეს ტურნირი საერთაშორისო შეჯიბრების საგზურს იძლეოდა და ამიტომ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში საასპარეზოდ მრავალმა სპორტსმენმა მოიყარა თავი.

პირველ დღეს ტოლი არ ჰყავდა ვ. ერშოვს (მოსკოვის ოლქი), რომელიც სასწავლო კოშკის მეოთხე სართულზე საიერიშო კიბით 15,5 წამში ავიდა და 0,3 წამით გააუმჯობესა თავისივე საკავშირო რეკორდი. მეორე დღეს ერშოვმა წარმატება მოიპოვა დაბრკოლებათა 100-მეტრიანი ზოლის გადალახვაშიც. მართალია, ამ სახეობაში მას სპორტის ოსტატმა გ. ბუკიამ აჯობა (19,9 წამი), მაგრამ ორჭიდში პირველობა ერშოვს დარჩა — 35,8. ორჭიდში საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა ვ. გაბუნიამ — 37,7 წამი.

ბოლოს მოეწყო ესტაფეტა 4×100 მეტრზე. პირველობა აქაც რსფსრ-ს გუნდს ხვდა. მასპინძელთა კოლექტივი 11 ადგილზე გავიდა.

ო. ივლოშვილი.

• • •

სურათებზე: გ. ბუკია (მარჯვნივ); ვ. ერშოვი ასპარეზობის წინ; ტურნირის ფინალი — ხანძრის ჩაქრობა.

ფოტო ა. საკოვისა.





# ბრძოლა უფრო დაძაბული იქნება

სულ უფრო ხშირად გვესმის, რომ ჩვენი სპორტსმენები საერთაშორისო შეჯიბრებიდან დამარცხებული ბრუნდებიან. და სპორტის მოყვარულებს ებადებათ სამართლიანი კითხვა: „რატომ ვთმობთ პოზიციებს სპორტის სხვადასხვა სახეობაში?" მართლაც, რატომ? რა გვიშლის ხელს, რომ უწინდებურად მოწინავენი ვიყოთ ტანვარჯიშულ ფიცარნაგსა თუ საციგურაო ბილიკზე? იქნებ დავსუსტდით?

არა, ძალა მოგვემატა. მაგრამ ბოლო წლებში, უნდა ვაღიაროთ, სპორტული მიღწევების ზრდის ტემპებით ჩამოვრჩებით ჩვენს მთავარ მეტოქეებს. ეს კი, ჩემი აზრით, იმიტომ მოხდა, რომ უცხოეთის ბევრ სახელმწიფოში საფუძვლიანად შეიცვალა სპორტისადმი დამოკიდებულება.

მაგალითად იაპონია ავიღოთ, უფრო სწორად, მისი ძალოსნური სპორტი. ახლა იაპონია მეორე სახელმწიფოა ამ სახეობაში მსოფლიო რეკორდების სიმრავლის მხრივ. 1968 წლის 1 იანვრისათვის ჩვენ 28-დან 14 მიღწევა გვეკუთვნოდა, იაპონელ ძალოსნებს — 5. მოვაგონებთ, რომ რომის ოლიმპიადამდე II ადგილზე ამერიკის შეერთებული შტატების ძალოსნები იყვნენ. ამომავალი მზის ქვეყნის ათლეტებზე მაშინ თითქმის არაფერი ვიცოდით, ახლა კი იაპონიის ძალოსნები მსოფლიო ჩემპიონის წოდებაზე პრეტენზიას აცხადებენ ოთხ წონით კატეგორიაში — მჩატეში, ქვემსუბუქში, მსუბუქსა და ქვესაშუალოში. ტოკიოს ოლიმპიადისთვის მზადების პერიოდში იაპონელმა ტანმორჩილმა ჰერკულესებმა გიგანტური ნაბიჯი გადადგეს წინ. აი, მათი მთავარი ლიდერის მიღწევათა ზრდის დინამიკა: იოსინობუ მიაკემ 1960 წელს მჩატე წონაში 337,5 კგ აჩვენა სამჭიდში, 1961 წელს — 357,5 (ქვემსუბუქში), 1962 წელს — 352,5 (მჩატეში), 1963 წელს — 377,5 (ქვემსუბუქში), 1964 წელს, ოლიმპიურ თამაშებში — 397,5 (ესაა მსოფლიოს ფანტასტიკური რეკორდი ქვემსუბუქი წონის ძალოსნებისთვის).

ჩვენ ასეთი ტალანტი არ გვყავდა და ამიტომ ტოკიოში ქვემსუბუქი წონის ძალოსანთა შეჯიბრებაში არ გამოვსულვართ. როგორც ჩანს, ამ წონის ათლეტს ვერც მეხიკოში გაწოვიყვანთ, ვინაიდან ბოლო ოთხი წლის მანძილზე საკავშირო რეკორდმა მხოლოდ 377,5 კილოგრამს მიაღწია. მიაკეს კი ამავე ხანში „დუბლიორი" გამოუჩნდა — მისივე ძმა იოსიუკი. ტოკიოს ოლიმპიადის წელს მის აქტივში მხოლოდ 315 კგ იყო. ერთი წლის შემდეგ თეირანში იოსიუკი უკვე მესამე პრიზიორი გახდა და 345 კგ დააგროვა (პროგრესი — 30 კგ), ხოლო ბერლინის 1966 წლის მსოფლიო პირველობაში ქვემსუბუქ წონაში გამოვიდა და 377,5 კგ აჩვენა.

მსოფლიო მწვერვალებისკენ სწრაფად მიიწევენ პოლონელი ძალოსნებიც, რომლებსაც იაპონელებივით დიდი მიზანსწრაფვა და ორგანიზებულობა ახასიათებთ.

ტალანტებით მდიდარია ამერიკული ძალოსნობაც, მაგრამ აშშ-ს ათლეტები, მე თანამედროვე თაობას ვგულისხმობ, რატომღაც სწრაფად კარგავენ ინტერესს ამ სახეობისადმი. იგივე ჰ. ჰუბნერი, რომელმაც 6 წლის წინათ იუნიორთა მსოფლიო რეკორდი დაამყარა მძიმე წონაში (510 კგ), მოზრდილებში გადასვლის შემდეგ ველარ შეეჭიდა ვერც ი. ვლასოვს და ვერც ლ. ჟაბოტინსკის. ძალიან კარგი ძალოსანია რ. ბედნარსკი — ბერლინის მსოფლიო ჩემპიონატის მეორე პრიზიორი. თავად განსაჯეთ: სსრ კავშირის რეკორდი მძიმე წონაში (90-დან 102,5 კგ-მდე) 502,5 კილოგრამს უდრის, 21 წლის ბედნარსკიმ კი, რომელიც 96 კილოგრამს იწონიდა, 515 კგ აჩვენა. ბერლინში იგი უკვე 108 კილოგრამს იწონიდა და 537,5 კგ დააგროვა. ფიქრობდნენ, რომ ბედნარსკი ამერიკელი ძალოსნების ლიდერი გახდებოდა, მაგრამ შარშან მას აჯობა დიუბმა, ხოლო ამას წინათ აშშ-ს რეკორდი დაამყარა პიკეტმა, რომელიც 1967 წელს მსოფლიოს უძლიერეს ძალოსანთა ათეულშიც კი ვერ მოხვდა. პიკეტმა საოცარი ნახტომი გააკეთა 520 კილოგრამიდან 562,3 კილოგრამამდე. ასეთი წონა ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯერ არავის აუწევია. მაგრამ ვის ეკუთვნის მომავალი — ბედნარსკის, დიუბსა თუ პიკეტს? ვინ გახდება ჟაბოტინსკის ღირსეული მეტოქე? შეიძლება ეს იყოს არა ყველაზე ნიჭიერი, არამედ ძალოსნობის ყველაზე მეტი ერთგული, ყველაზე მიზანსწრაფული და შრომისმოყვარე სპორტსმენი. ყოველ შემთხვევაში, მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში ამერიკის ნაკრები იქნება უფრო ძლიერი, ვიდრე წინათ ყოფილა, განსაკუთრებით, მძიმე წონით კატეგორიაში.

ახლა ბევრი კითხულობს, შეძლებს კი ჟაბოტინსკი დაიბრუნოს მსოფლიო რეკორდი აჭიმვაში? როგორც ცნობილია, პიკეტმა 202 კგ აჭიმა. ეს სასწაულებრივი წონაა. მოგაგონებთ, რომ პ. ანდერსონმა მხოლოდ 196,5 კგ აჰკრა. ძალოსნობაში რეკორდებს დიდი დღე არ უწერიათ. აქ პროგრესი სწრაფია და პიკეტის შედეგსაც კანონიერი გაკვირვება არ გამოუწვევია. ისეთმა სპეციალისტმაც კი, როგორიც სსრ კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელი ა. ვორობიოვია, თქვა: „ეს რეკორდი უახლოეს ხანში 210 კილოგრამამდე უნდა გაიზარდოს".

ჩემი აზრით, ჟაბოტინსკი მსოფლიო რეკორდსმენი აჭიმვაში კვლავ უნდა გახდეს წლევანდელი წლის პირველსავე შეჯიბრებაში — სსრ კავშირის ჩემპიონატში, რომელიც მაისში ლუგანსკში მოეწყობა. როგორც ცნობილია, ორწელიწადნახევარს არ გამოსულა ფიცარნაგზე რომის ოლიმპიადის გმირი ი. ვლასოვი. მთელი ამ ხნის მანძილზე ჟაბოტინსკი მოპოვებული მიღწევებით ნებივრობდა. მაგრამ როგორც კი ვლასოვმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა აჭიმვაში და გამოაცხადა, რომ ბრძოლაში ებმება, ჟაბოტინსკი გამოფხიზლდა და ოთხი რეკორდით უპასუხა მას. ეჭვი არ არის, საბჭოთა გოლიათი ამჯერადაც ღირსეულ პასუხს გასცემს პიკეტის რეკორდს.

სამწუხაროდ, ჩვენს ახალგაზრდა ძალოსნებში არ არის ათლეტი, რომელიც ჟაბოტინსკის შეეჭიდება. როგორც ჩანს, მეხიკოში არ გამეორდება ტოკიოს სურათი, როცა მძიმე წონაში მეფობდა ორი საბჭოთა ჰერკულესი — ჟაბოტინსკი და ვლასოვი. ძალოსნობის მოყვარულები, რა თქმა უნდა, გაოცებული არიან, რომ ვლასოვი უარს ამბობს ჟაბოტინსკისთან ბრძოლაზე. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, რა აზრი აქვს ვლასოვისთვის იმ ათლეტთან შეჯიბრებას, რომელიც მასზე 3 წლით უმცროსია და, თანაც, უფრო ძლიერიცა და ტექნიკურიც არის? მეორე იყოს? ვლასოვმა ძალოსნობას პოპულარობა მოუხვეჭა მთელს მსოფლიოში, თავისი რეკორდებით მან სული შთაბერა მრავალ ათეულ ათას ათლეტს. დღეს არ გვეყოლებოდა ჟაბოტინსკი, მანამდე რომ ვლასოვი არ ყოფილიყო.

მეხიკოს ოლიმპიადაში ბევრი ჩვენი ძალოსანი თითქმის ისე იგრძნობს თავს, როგორც შინ. მექსიკელ და საბჭოთა ათლეტებს შორის მეგობრული დამოკიდებულება დამყარდა. ახლახან სსრ კავშირის ნაკრები მესამედ იყო სტუმრად მომავალი ოლიმპიადის მასპინძლებთან. როგორც შარშან, შეჯიბრება ახლაც რეკორდებმა დაამშვენა. ბოლოსდაბოლოს გაგვახარა მსოფლიო ჩემპიონმა, საშუალო წონის ძალოსანმა ვ. ბელიაევმა, რომელმაც ატაცში 150,5 კგ აჩვენა და ამით იაპონელი მ. ოუჩის რეკორდი მოხსნა. 10 წლის წინათ ყველაზე სახელგანთქმული მძიმეწონოსნებიც კი ინატრებდნენ ამ სიმძიმის აწევას. ანდერსონმა ეს ვერ შეძლო.

მექსიკურ ფიცარნაგზე ორი სარეკორდო შედეგი აჩვენა დაუღალავმა ი. ტალტსმა. სამწუხაროდ, ატაცი (152,5 კგ) მსოფლიო რეკორდების ცხრილში ვერ შევა, რადგან იანი რამდენიმე ათეული გრამით ნორმაზე მძიმე გამოდგა. მაგრამ მან გააგრძელა შეჯიბრება, წონაშიც დაიკლო და აკვრაში 195 კგ აღნუსხა, როგორც მსოფლიო რეკორდი.

ბელიაევსაც და ტალტსსაც საიმედო ცვლა ჰყავთ. მეხიკოში თავი გამოიჩინა საშუალო წონის ძალოსანმა ბ. სელიცკიმ, რომელმაც 482,5 კგ დააგროვა. ასეთი შედეგით ადვილად შეიძლება ოლიმპიურ „ოქროზე" ფიქრი. იმავე შეჯიბრებაში შესანიშნავად გამოვიდა ტალტსის მეტოქე, ვოლგოგრადელი ა. კალინიჩენკო—495 კგ. ეს მეორე მიღწევაა მსოფლიოში.

ძლიერი ძალოსნები გვყავს ქვესაშუალო წონაშიც, სადაც მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ვ. კურენცოვი ლიდერობს. კურენცოვზე არ შეიძლება ითქვას, რომ იგი ნელა იზრდება. ასეთივე ნაბიჯებით მიიწევს წინ ოუჩიც. იაპონელ ძალოსანს ნაკლები შანსი როდი აქვს ოლიმპიური ჩემპიონობის მოპოვებისა.

აშკარად ვერ გვაკმაყოფილებენ მჩატე, ქვემსუბუქი და მსუბუქი წონის ძალოსნები. ისინი ბოლო ოთხი წელია თითქმის ერთ ადგილს ტკეპნიან, მათი საზღვარგარეთელი კოლეგები კი თითქმის მსოფლიოს ყველა რეკორდს ფლობენ. აი, რატომ არ გვეიმედება წარმატება ამ წონით კატეგორიებში. მაგრამ სასწაულები ძალოსნობაშიც ხდება. ტოკიოს წინ ჩვენ დიდი იმედი როდი გვქონდა ვახონინის წარმატებისა მჩატე წონაში, მაგრამ სწორედ მან გახსნა ჩვენი გუნდის „ოქროს ანგარიში". მოდით, ამჯერადაც ოპტიმისტები ვიყოთ.

შტანგა მოდური სპორტული იარაღი გახდა. ძალოსანთა შეჯიბრებებში არის გმირობის ელემენტი და ეს ხიბლავს ახალგაზრდობას. ახლა დიდსა თუ პატარა ქვეყნებს შეუძლიათ მსოფლიოს რეკორდსმენი ათლეტები მისცენ. ეს იმას ნიშნავს, რომ მსოფლიოსა და ოლიმპიურ ფიცარნაგზე ბრძოლა ყოველწლიურად სულ უფრო საინტერესო იქნება.

დ. ივანოვი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.



სურათზე: იოსინობუ მიაკე.

# ოლიმპიადებოდ

**ტალინი, 8 აპრილი.** ქვეყნის უძლიერესი გუნდების მეათე ტრადიციული სამატჩო შეხვედრა თანამედროვე ხუთჭიდში, რომელიც გუშინ აქ დამთავრდა, მოიგო სმოლენსკის ფიზკულტურის ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტმა ს. დოროფეევმა — 4977 ქულა. მართალია, ესტონეთის დედაქალაქში უკრაინისა და ლენინგრადის სპორტსმენები არ ჩამოსულან, შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღიათ ოლიმპიური გუნდის კანდიდატებს, მაგრამ ტურნირში ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა სპორტსმენი გამოდიოდა. თავი ისახელეს ს. შტორკმა (ესტონეთი), ვ. კრავცოვმა და ლ. დმიტრიევმა (ორივე — ლატვია), ვ. კრასოვმა და ვ. სილიახინმა (ორივე — რსფსრ).

II ადგილი დაიკავა 18 წლის ბაქოელმა სტუდენტმა გ. გუჟოვმა— 4902 ქულა. სხვათა შორის, მან პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა.

გუნდურ ჩათვლაში პირველობდა ლატვიის ნაკრები — 1861 ქულა. II ადგილზეა რსფსრ-ს გუნდი, III — აზერბაიჯანის კოლექტივი.

(საქინფორმი).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

# ახალი ამბები

● ნიუ-იორკი, 8 აპრილი. ბერლინის მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, ამერიკელი ძალოსანი რ. ბედნარსკი (მძიმე წონა) განაგრძობს წარმატებით გამოსვლას ფიცარნაგზე. როგორც ცნობილია, ამას წინათ მან 540,5 კგ აჩვენა სამჭიდში, ხოლო აკვრაში 207,5 კგ ჰქონდა. სულ ახლახან აქ გამართულ შეჯიბრებაში ბედნარსკიმ 557,5 კგ დააგროვა (ეს მეოთხე შედეგია ძალოსნობის ისტორიაში საერთოდ). ბედნარსკი 112 კგ-ს იწონის. მან 190 კგ აჭიმა, 155 კგ აიტაცა და 212,5 კგ აჰკრა, რითაც 2,5 კგ-ით დაამძიმა ჯ. პიკეტის ამას წინათ დამყარებული ეროვნული რეკორდი. დამატებით ცდაზე ბედნარსკიმ მკერდზე აიტანა 220 კგ (1 კგ-ით მეტი ლ. ჟაბოტინსკის მსოფლიო რეკორდზე), მაგრამ ამ წონას ვერ მოერია. მიუხედავად ამისა, მან განაცხადა, რომ უახლოეს ხანში აპირებს 500 ინგლისური ფუტის დაძლევას (226,8 კგ).

თბილისის სპორტული

**ფეხბურთი.** „დინამოს" სტადიონი. სსრ კავშირის პირველობა. „ა" კლასის I ჯგუფი. **დღეს: „დინამო" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი).** ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 18 ს. 30 წ.

**ჭადრაკი.** ცენტრალური საჭადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. № 48). **10-18 აპრილი. შესარჩევი შეჯიბრება ქალთა საერთაშორისო ტურნირისთვის.** დასაწყისი 16 ს.



საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 06629